



სახელმძღვანელო მოთამაშის ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ

ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან

World Rugby-ის კონკურსგარეშე (OOC) ტესტირების პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ გარკვეული რაოდენობის წევრი ასოციაციები და მოთამაშეები როგორც 7 მოთამაშის, ასევე 15 მოთამაშის დისციპლინაში. World Rugby-ს OOC ტესტირების პროგრამაში დასახელებული ყველა მოთამაშე განაწილდება დარეგისტრირებულ ტესტირების ჯგუფში (RTP), ან ტესტირების ჯგუფში (TP) და მათ მოეთხოვებათ წარადგინონ ინფორმაცია ადგილსამყოფელის შესახებ, რომ შესაძლებელი გახდეს კონკურსგარეშე ტესტირების ჩატარება შეტყობინების გარეშე.

1. როგორ გავიგო რომელ ჯგუფში ვარ, RTP თუ TP-ში?

World Rugby-მ შეიმუშავა RTP და TP ჯგუფებში განაწილების კრიტერიუმები. TP არის World Rugby-ს ძირითადი ჯგუფი და მასში შეკრებილია მოთამაშეები რაბის მსოფლიო თასში მონაწილე პირველი 20 გუნდიდან, 15 ძირითადი მხარე მონაწილეობს IRB შვიდკაცას სერიებში, ხოლო ნებისმიერი სხვა გუნდის ან მოთამაშის განაწილება ხდება ფედერაციის გადაწყვეტილებით. World Rugby ითვლება მაღალი რისკის მქონე ჯგუფად, რომელიც ძირითადად შედგენილია დისკვალიფიკაციაზე მყოფი მოთამაშეებისგან, იმ მოთამაშეებისგან, რომლებიც გაირიცხნენ TP-დან 18 თვის განმავლობაში ადგილსამყოფელის 3 არასწორი შეტყობინების გამო და კიდევ მათგან, ვინც ფედერაციის მიერ მიჩნეულია მაღალი რისკის მქონედ. World Rugby-ის ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით შეგატყობინებთ, თუ რომელ ჯგუფში ხართ, როგორ და სად უნდა გაგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ.

2. რას ნიშნავს ყოველდღიური ადგილსამყოფელი და რა ინფორმაცია უნდა მივაწოდო?

ყოველდღიური ადგილსამყოფელი გულისხმობს თქვენს ან დასახელებული მესამე მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, თუ სად იმყოფებით თითოეულ დღეს, რასაც შემდეგ გამოიყენებს დოპინგის შემმოწმებელი ოფიცერი (DCO), რომელიც წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოგაკითხავთ ტესტირების ჩასატარებლად. კვარტლის თითოეული დღისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- იმ ადგილის მისამართი სადაც იცხოვრებთ, მაგალითად, საკუთარი სახლი, დროებითი საცხოვრებელი, სასტუმრო ან აგარაკი
- სრული და ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია, ნებისმიერი მეთოდით დასაკავშირებლად;
- ინფორმაცია ვარჯიშის შესახებ, რომელშიც შედის კლუბსა და ნაციონალურ გუნდში ვარჯიშის თუ ორგანიზებული გუნდური ღონისძიებების დრო და ადგილი;
- სხვა რეგულარული მოქმედებების, მაგალითად, მუშაობის ან სწავლის დრო და ადგილი;
- კლუბებისა და ნაციონალური გუნდის მატჩებისა თუ ტურნირების განრიგი;
- **მხოლოდ RTP მოთამაშეებისთვის:** ყოველდღიური 60 წუთიანი შუალედი და მდებარეობა დილის 6 საათსა და საღამოს 11 საათს შორის, სადაც შესაძლებელი იქნება თქვენი შემოწმება.

3. ყოველდღიური 60 წუთიანი მოთხოვნა ეხებათ ტესტირების ჯგუფის მოთამაშეებს?

დიახ, მაგრამ ეს მოქმედებს მხოლოდ თქვენთვის დასახელებული დასვენების სეზონის პერიოდში, ან როდესაც ტრავმა გაქვთ ან ავად ხართ, რის გამოც არ მონაწილეობთ კლუბის ან ნაციონალური გუნდის დაგეგმილ ღონისძიებებში. ასეთ შემთხვევებში თქვენი ადგილსამყოფელი ავტომატურად იცვლება თქვენს მიერ დასახელებული საცხოვრებელი ადგილით, საღამოს 6-7 საათიდან. აღარ დაგჭირდებათ ადგილსამყოფელის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შევსება, თუ არ მოისურვებთ ამ დროის ან მდებარეობის შეცვლას. თქვენი ადგილსამყოფელის ინფორმაციის შეცვლის შესახებ იხილეთ განყოფილება 10.

3. როგორ შევიტყობ, როდესაც ძალაში შევა დასვენების სეზონი?

დასვენების სეზონი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თამაშის განსხვავებული სეზონების გამო, მაგრამ ძირითადად ეს არის დროის

მონაკვეთი, რომელიც დგება თამაშის სეზონის შემდეგ. World Rugby-ს კონკურსგარეშე ტესტირების პროგრამაში მონაწილე თითოეული წევრი ასოციაცია ინდივიდუალურად მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, თუ როდის იქნება მისთვის დასვენების პერიოდი და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის თავის მოთამაშეებს. თუ დასვენების სეზონის დამთავრებამდე დაბრუნდებით გუნდის ღონისძიებებში, ამის შესახებ უნდა მიმართოთ World Rugby-ს ან თქვენს NADO-ს (ანტიდოპინგურ ნაციონალურ ორგანიზაციას).

5. სად უნდა გაგზავნო ჩემი ადგილსამყოფელის ინფორმაცია?

World Rugby ან თქვენი NADO მოგაწვდით ინფორმაციას ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით იმის შესახებ, თუ როგორ და სად უნდა გაგზავნოთ ინფორმაცია თქვენი მდებარეობის შესახებ. მაგალითად, თქვენი ყოველდღიური ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ჩაწეროთ ამობეჭდილ ფორმებში, რომლებსაც მოგაწვდით (ა) World Rugby ან თქვენი NADO, ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით, (ბ) ADAMS ან სხვა ელექტრონული მონაცემთა ბაზა (თუ არის) და (გ) უშუალოდ თქვენი NADO.

World Rugby მიიღებს უშუალოდ NADO-სთვის გაგზავნილ ყოველდღიური ადგილსამყოფელის ინფორმაციას, იქ სადაც World Rugby და შესაბამისი NADO არიან შეთანხმებული. თუ არ არსებობს NADO, ან არ არსებობს ასეთი შეთანხმება, თქვენი ინფორმაცია ყოველდღიური მდებარეობის შესახებ და ნებისმიერი ცვლილების შეტყობინება უნდა გაიგზავნოს World Rugby-ში, თქვენი ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით.

6. ვის მიუწვდება ხელი ჩემი ყოველდღიური ადგილსამყოფელის ინფორმაციაზე?

თქვენი ყოველდღიური სამყოფელის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიწოდებთ World Rugby-ს, ადგილობრივ ასოციაციას და/ან NADO-ს, მკაცრად კონფიდენციალურად ინახება. ამასთან, შეიძლება ინფორმაცია გადაეცეს ანტიდოპინგულ მსოფლიო სააგენტოს (WADA) და ანტიდოპინგულ ორგანიზაციებს, რადგან მათ უფლება აქვთ მკაცრად განსაზღვრულ პირობებში ჩაატარონ თქვენი შემოწმება და თქვენი ინფორმაციის გამოყენება მოხდეს მხოლოდ დოპინგზე კონტროლის მიზნით.

7. რა სიხშირით უნდა გავგზავნო ინფორმაცია ჩემი ყოველდღიური ადგილსამყოფელის შესახებ?

World Rugby მოთამაშეს მოსთხოვს ადგილსამყოფელის ინფორმაციის მიწოდებას ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით, თითოეული კვარტალის დაწყებამდე ორი კვირით ადრე. World Rugby-ს კვარტალებია: კვარტალი 1 – 1 იანვრიდან 31 მარტამდე კვარტალი 2 – 1 აპრილიდან 30 ივნისამდე კვარტალი 3 – 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე კვარტალი 4 – 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე

8. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ არჩეული ვარ ჩემი NADO-ს ნაციონალურ RTP-ში?

თუ ხართ თქვენი NADO-ს ნაციონალურ RTP-ში, როგორც რაგბის მოთამაშეს მოგეთხოვებათ თქვენს NADO-ში გაგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ (როგორც ეს აღწერილია განყოფილება 2-ში) და ასევე 60 წუთიანი მდებარეობის მონაცემები. თქვენი NADO უშუალოდ ან ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით შეგატყობინებთ შემოწმებაში თქვენი ჩართვის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სპეციალური მოთხოვნების შესახებ თუ როგორ, სად და როდის უნდა გაგზავნოთ თქვენი ყოველდღიური მდებარეობის

ინფორმაცია.

9. შეუძლია სხვას ჩემს მაგივრად გაგზავნოს ინფორმაცია ჩემი ყოველდღიური ადგილსამყოფელის შესახებ?

დიახ, თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ პასუხისმგებლობა "მესამე მხარეს", რომელიც მოგვაწვდის ინფორმაციას თქვენი ყოველდღიური ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ თქვენ მოგეთხოვებათ პასუხი, თუ ინფორმაციის მიწოდება არ მოხდება დროულად ან მონაცემები აღმოჩნდება არასწორი. ეს შეიძლება გამოყენებული იყოს კლუბის ყოველკვირეული ან ყოველთვიური ვარჯიშებისა და შეჯიბრებების განრიგში, რომელსაც გამოგზავნის კლუბის წარმომადგენელი ან თქვენი ადგილობრივი ასოციაცია, რომელიც წარადგენს ნაციონალური გუნდის მოქმედებების დეტალებს, სადაც შეიძლება შედიოდეს ვარჯიშების ადგილები, მატჩები, დაგეგმილი ღონისძიებები და/ან ტურის მარშრუტი და განთავსების პირობები.

10. როგორ შეეცვალო ჩემი ინფორმაცია ადგილსამყოფელის შესახებ კვარტალის განმავლობაში?

თქვენ მაშინვე უნდა შეეცვალოთ თქვენი ყოველდღიური ადგილსამყოფელის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია, როგორც კი გაიგებთ, რომ ტესტირებისთვის არ იქნებით მითითებულ ადგილზე დროის მოცემულ შუალედში. განახლებული ინფორმაცია შეგიძლიათ გაგზავნოთ World Rugby-ში ადგილობრივი ასოციაციის საშუალებით, ან უშუალოდ NADO-ში. შესაბამისი ორგანიზაცია გაგარკვევთ, თუ როგორ უნდა შესწორდეს ინფორმაციის განახლება.

თუ მოგეთხოვებათ ინფორმაციის განახლება უშუალოდ World Rugby-ში, გთხოვთ გაგზავნოთ იგი ელ.ფოსტის მისამართზე update@worldrugby.org და დაასახელოთ თქვენი

სახელი და გვარი, ადგილობრივი ასოციაცია, შეცვლილი მდებარეობა, თარიღი და დრო.

11. რას ნიშნავს შეუსრულებლობა?

ეს ნიშნავს დანიშნულ დღეს ადგილსამყოფელის ინფორმაციის მიწოდების შეუსრულებლობას, ან ტესტის გამოტოვებას, როდესაც ტესტის ჩასატარებლად ვერ განახვენ იმ ადგილზე, რომელიც დასახელებული გაქვთ ადგილსამყოფელის ინფორმაციაში.

12. არის რაიმე სხვაობა RTP-და და TP-ს შორის, ტესტის გამოტოვების მხრივ?

დიახ, არის. RTP-ში ტესტის გამოტოვება მოთამაშის გამო ხდება, რადგან ტესტის ჩასატარებლად იგი ვერ ნახეს დასახელებულ ადგილზე, მის მიერ მითითებულ 60 წუთიან ინტერვალში.

TP ჯგუფში გამოტოვებული ტესტი განიხილება, როგორც დოპინგის კონტროლის ოფიცრის წარუმატებელი მცდელობა (მცდელობები) ენახა მოთამაშე მის მიერ ადგილსამყოფელის ინფორმაციაში დასახელებულ პირველად და მეორად ადგილზე (თითოეულ ადგილზე ერთხელ მისვლით), ნებისმიერ 24 საათიან ინტერვალში, სესიის განმავლობაში, ან ნაგულისხმევ თუ დასახელებულ ერთ საათიან ინტერვალში, დასვენების ან ტრამვის/ავადმყოფობის პერიოდში.

თუ TP-ში ხართ და გამოტოვებთ ტესტი, ასევე შეიძლება დაგეკისროთ გადასახადი თქვენი შემოწმების წარუმატებელი მცდელობისთვის. ამ შემთხვევაში, თქვენი ადგილობრივი ასოციაციის მეშვეობით World Rugby გამოგზავნავთ ანგარიშ-ფაქტურას, რომელშიც ყოველი გამოტოვებული ტესტი შეფასებული იქნება 200 ევროდ.

13. რა შედეგი მოჰყვება სამ შეუსრულებლობას?

- (a) **ტესტირების ჯგუფი** - თუ სამჯერ გექნებათ შეუსრულებლობის შემთხვევა 12 თვის განმავლობაში TP-ში, თქვენ გადახვალთ RTP-ში. შემდეგ მოგეთხოვებათ გაგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ და, დამატებით, ყოველდღიური 60 წუთიანი შუალედი და მდებარეობა. TP-ში შეუსრულებლობის შემთხვევების ჩანაწერი არ შეგინარჩუნდებათ, თუ გადაიყვანენ RTP-ში. შეგიძლიათ დაბრუნდეთ TP-ში, თუ არ გაქვთ შეუსრულებლობის შემთხვევა ზედიზედ 3 კვარტალში.
- (b) **რეგისტრირებული ტესტირების ჯგუფი** – RTP-ში 12 თვის განმავლობაში ტესტირების სამჯერ შეუსრულებლობის შემთხვევაში აღიძვრება დისციპლინის დარღვევის საქმე, შესაძლო ანტიდოპინგური კანონის დარღვევის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს სანქციის მიღებას ერთიდან ორ წლამდე ვადით.

14. შეიძლება გაუქმდეს შეუსრულებლობის ჩანაწერი?

დიახ, შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევის ჩანაწერი გაქრება მისი დაფიქსირებიდან 12თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ნიმუში იქნა წარმატებით აღებული მოთამაშისგან ამ 12 წლის განმავლობაში. შეუსრულებლობის ჩანაწერები ავტომატურად გაქრება, თუ მოთამაშეს გადაიყვანენ TP-დან RTP-ში.

15. რა როლი აკისრია ჩემს ასოციაციას ან კლუბს, ჩემი ყოველდღიური ადგილმდებარეობის ინფორმაციასთან დაკავშირებით?

- (a) თქვენი ადგილობრივი ასოციაცია იქნება უმთავრესი საკონტაქტო პუნქტი World Rugby-სთვის და იგი განსაზღვრავს მოთამაშეებს, რომლებიც ჩაიწერებიან World

Rugby-ს RTP ან TP ჯგუფში, World Rugby-ს მიერ ჩამოყალიბებულ რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით.

- (b) შეგიძლიათ დაასახელოთ ადგილობრივი ასოციაცია ან თქვენი კლუბი, რომელიც თქვენი სახელით გაგზავნის ინფორმაციას თქვენი ყოველდღიური ადგილმდებარეობის შესახებ. კერძოდ, ადგილობრივ ასოციაციას და კლუბს, როგორც წესი, აქვს უახლესი ინფორმაცია თქვენი, როგორც რაგბისტის, მოქმედებების შესახებ. ამასთან, მოთამაშის პასუხისმგებლობაში შედის ადგილსამყოფელის ზუსტი ინფორმაციის სრულად მიწოდება დასახელებულ ვადებში და მისი განახლება მოთხოვნის შესაბამისად.
- (c) ნებისმიერი შეცდომა ან ინფორმაციის შეცვლა, რაც გამოიწვევს ტესტის გამოტოვებას, ვერ დაბრალდება მე-3 მხარეს.
- (d) World Rugby-ს 21-ე დებულების თანახმად, World Rugby-ს თითოეული წევრი ასოციაცია ვალდებულია World Rugby-ს დაეხმაროს World Rugby OOC ტესტირების პროგრამის სხვადასხვა ასპექტში. თუ ეს არ შესრულდება, ამას შეიძლება მოჰყვეს დისციპლინარული ზომები ასოციაციის წინააღმდეგ.

16. აუცილებლად უნდა გავჩერდე დანიშნულების ადგილზე სრული 1 საათის განმავლობაში?

დიახ, თუ გსურთ თავიდან აიცილოთ ტესტის გამოტოვება, ტესტირებისთვის უნდა დაგველოდოთ მთელი 60 წუთის განმავლობაში. ამრიგად, 60 წუთიანი დროითი შუალედი და ადგილი იქ უნდა აირჩიოთ, სადაც ჩვეულებრივ ხართ და ყოველდღე არ უნდა დაგჭირდეთ ადგილისა და დროის ინფორმაციის განახლება.

17. როგორ უნდა მოვიქცე, თუ რაგბს მივატოვებ იმ დროს, როდესაც ვმონაწილეობ RTP ან TP-ში?


თქვენს ადგილობრივ ასოციაციას წერილობით უნდა აცნობოთ საერთაშორისო რაგბის მიტოვების შესახებ. მას შემდეგ რაც World Rugby მიიღებს ცნობას თქვენი რაგბიდან წასვლის შესახებ, თქვენ ამოგიღებენ ტესტირების სიიდან, რომელშიც მოცემულ მომენტში ხართ.

18. სად შეიძლება გავეცნო დამატებით ინფორმაციას?

World Rugby-ს 21-ე დებულების სრული ასლი შეგიძლიათ ნახოთ World Rugby-ის ანტიდოპინგური ვებსაიტის დებულებების განყოფილებაში worldrugby.org/keeprugbyclean. ყოველდღიური ადგილსამყოფელის თაობაზე მიწოდებული ინფორმაციის კონკრეტული დებულებები იხილეთ 21-ე წესდების 21.5.6 ნაწილში. ამ ვებსაიტზე ასევე შეგიძლიათ ნახოთ დამატებითი ანტიდოპინგური ინფორმაცია და სასწავლო რესურსები. ეს კითხვა-პასუხი მოვამზადეთ, რათა მოთამაშეებსა და წევრ ასოციაციებს დავეხმაროთ მონაწილეობა მიიღონ World Rugby-ს კონკურსგარეშე ტესტირების პროგრამაში. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, 21-ე დებულება ითვლება უპირატესად.

თუ კონკრეტული კითხვები გაქვთ, მიმართეთ ადგილობრივ ასოციაციას, ან უშუალოდ World Rugby-ს მისამართზე: update@worldrugby.org.

World Rugby მოთამაშის ადგილსამყოფელის განრიგი



1. არ ნარჩუნდება, როცა მოთამაშე გადაჰყავთ TP-დან RTP-ში.
2. ეხება მხოლოდ TP-დან RTP-ში გადაყვანილ მოთამაშეებს

WORLD RUGBY
 World Rugby House, 8-10 Pembroke Street Lower, Dublin 2, Ireland
 Tel. +353-1-2409-200 Email. info@worldrugby.org



Copyright © World Rugby 2015.

ნამუშევრის ასლის გადაღება ნებადართულია მხოლოდ მისი პირადი ან სწავლ(ებ)ის მიზნით გამოყენებისთვის. დაუმჯობესებელია ნამუშევრის ასლის გადაღება, დაქირავება, თხოვება, ან გავრცელება კომერციული დანიშნულებით.

WORLD RUGBY™